საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ბაგიათა“

„ბაგიათა“, ნახშიროჟანგიანი ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი სამკურნ. და სუფრის მინერალური წყალი.

საბადო მდებარეობს მდ. ლიახვის ზემოთში, კურ. ჯავიდან 20 კმ-ზე. საბადო შედგება ორი, საკუთრივ ბაგიათისა (ზედაიურული მუქი ნაცრისფერი თიხები, ქვიშაქვიანი კირქვები, მერგელები, კირქვების კონგლომერატ-ბრექჩიები) და ვანელის (ვალანჟინური შავი მერგელების წყება) უბნებისაგან, რ-თა შორისაა მდ. თლიისწყლის(ლიახვის მარცხ. შენაკადი) ტექტონ. რღვევის ზოლი.

წარმოებს წყლის ჩამოსხმა. იყენებენ სასმელად და საჭმლის მომნელებელ ორგანოთა ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ.

ტ. ჩიჩუა